

Dublin Core Metadata Element Set, Version 1.1: Reference Description

Translated into Georgian by Teimuraz Chkhenkeli in 2005

დაბლინ კორ მეტამონაცემების ელემენტთა სიმრავლე, ვერსია
1.1: საცნობარო აღწერილობა

ინგლისურიდან ქართულად თარგმნა თეიმურაზ ჩხენკელმა 2005 წელს

Date Issued: 2004-12-20

Identifier: <http://dublincore.org/documents/2004/12/20/dces/>

Supersedes: <http://dublincore.org/documents/2003/06/02/dces/>

Latest version: <http://dublincore.org/documents/dces/>

Translations: <http://dublincore.org/resources/translations/>

Status of document: This is a DCMI Recommendation.

Description of document: This document is the reference description, version 1.1 of the
of Dublin Core Metadata Element Set.

Recent changes: Updated references to [ISO3166] and [MIME]

შესავალი

დაბლინ კორ მეტამონაცემების ელემენტთა სიმრავლე წარმოადგენს სხვადასხვა სფეროში შექმნილი ინფორმაციის წყაროების აღწერის სტანდარტს. აქ ინფორმაციის წყარო განისაზღვრება როგორც „ნებისმიერი რაობა, რომელიც შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული“. ასეთი განსაზღვრებაა გამოიყენებული ტიმ ბერნერს-ლისა და სხვა ავტორთა მიერ შემდეგ დოკუმენტში: Internet RFC 2396, "Uniform Resource Identifiers (URI): Generic Syntax". არ არსებობს მნიშვნელოვანი შეზღუდვები რესურსების ტიპების მიმართ, რომელთა აღსაწერად შეიძლება დაბლინ კორ მეტამონაცემების გამოყენება.

The Dublin Core metadata element set is a standard for cross-domain information resource description. Here an information resource is defined to be "anything that has identity". This is the definition used in Internet RFC 2396, "Uniform Resource Identifiers (URI): Generic Syntax", by Tim Berners-Lee et al. There are no fundamental restrictions to the types of resources to which Dublin Core metadata can be assigned.

დაბლინ კორ მეტამონაცემების ელემენტთა სიმრავლე, ვერსია 1.1-ისთვის არსებობს შემდეგი სამი მოწონებული ვერსია:

- ISO Standard 15836-2003 (February 2003):
<http://www.niso.org/international/SC4/n515.pdf>
- NISO Standard Z39.85-2001 (September 2001):
<http://www.niso.org/standards/resources/Z39-85.pdf>
- CEN Workshop Agreement CWA 13874 (March 2000, no longer available)

წინამდებარე დოკუმენტი შეთანხმებულია ISO და NISO სტანდარტებთან. უფრო ამომწურავი დოკუმენტი "DCMI Metadata Terms" (<http://dublincore.org/documents/dcmi-terms/>) შეიცავს ტერმინების ბოლო და ავტორიტეტულ განსაზღვრებებს დაბლინ კორ მეტამონაცემების ელემენტთა სიმრავლე, ვერსია 1.1-ისთვის.

The current document has been brought into line with the ISO and NISO standards. The more comprehensive document "DCMI Metadata Terms" (<http://dublincore.org/documents/dcmi-terms/>) includes the latest and authoritative term declarations for the Dublin Core Metadata Element Set, Version 1.1.

დაბლინ კორ მეტამონაცემების მიმოხილვა და დაბლინ კორ მეტამონაცემების ინიციატივის მიერ მხარდაჭერილ მეტამონაცემთა ტერმინების სრულ სპეციფიკაციებთან ბმულები ნახეთ შემდეგ მისამართზე:
<http://dublincore.org/usage/documents/overview/>.

For an overview and links to full specifications of all metadata terms maintained by the Dublin Core Metadata Initiative please see: <http://dublincore.org/usage/documents/overview/>.

ელემენტები The Elements

ელემენტის სახელი: სათაური Element Name: Title	
Label: იარლიყი	Title სათაური
Definition: განსაზღვრება	A name given to the resource. რესურსის დასახელება
Comment: კომენტარი	Typically, Title will be a name by which the resource is formally known. როგორც წესი, სათაური ისეთი სახელია, რომლითაც რესურსი ფორმალურად არის ცნობილი
ელემენტის სახელი: შემქმნელი Element Name: Creator	
Label: იარლიყი	Creator შემქმნელი
Definition: განსაზღვრება	An entity primarily responsible for making the content of the resource. ის არსი (რაობა), რომელიც პირველ რიგშია პასუხისმგებელი რესურსის შემცველობის (შიგთავსის, შინაარსის) შექმნაზე
Comment: კომენტარი	Examples of Creator include a person, an organization, or a service. Typically, the name of a Creator should be used to indicate the entity. შემქმნელის მაგალითებია პიროვნება, ორგანიზაცია, სამსახური. როგორც წესი, შემქმნელის სახელი გამოიყენება არსის (რაობის) აღნიშნისთვის (ჩვენებისთვის, მითითებისთვის).
ელემენტის სახელი: საგანი Element Name: Subject	
Label: იარლიყი	Subject and Keywords საგანი და საკვანძო სიტყვები
Definition: განსაზღვრება	A topic of the content of the resource.

განსაზღვრება	რესურსის შინაარსის (შემცველობის, შიგთავსის) თემა.
Comment: კომენტარი	Typically, Subject will be expressed as keywords, key phrases or classification codes that describe a topic of the resource. Recommended best practice is to select a value from a controlled vocabulary or formal classification scheme. როგორც წესი, საგანი გამოისახება საკვანძო სიტყვებით, ფრაზებით ან საკლასიფიკაციო ინდექსებით, რომლებიც აღწერენ რესურსის თემას. რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს ელემენტის მნიშვნელობის შერჩევაში კონტროლირებადი ლექსიკონიდან ან ფორმალური საკლასიფიკაციო სისტემიდან.
ელემენტის სახელი: აღწერა Element Name: Description	
Label: იარლიყი	Description აღწერა
Definition: განსაზღვრება	An account of the content of the resource. რესურსის შემცველობის (შიგთავსის, შინაარსის) ახსნა
Comment: კომენტარი	Examples of Description include, but is not limited to: an abstract, table of contents, reference to a graphical representation of content or a free-text account of the content. აღწერის მაგალითებია: რეზიუმე, სარჩევი, მითითებები შემცველობის გრაფიკულ წარმოდგენებზე, შემცველობის (შინაარსის) გადმოცემა ბუნებრივ ენაზე.
ელემენტის სახელი: გამომცემელი Element Name: Publisher	
Label: იარლიყი	Publisher გამომცემელი
Definition: განსაზღვრება	An entity responsible for making the resource available ის არსი (რაობა), რომელიც პასუხისმგებელია რესურსის ხელმისაწვდომობაზე.
Comment: კომენტარი	Examples of Publisher include a person, an organization, or a service. Typically, the name of a Publisher should be used to indicate the entity.

	გამომცემლის მაგალითებია პიროვნება, ორგანიზაცია, სამსახური. როგორც წესი, გამომცემლის სახელი გამოიყენება არსის (რაობის) აღნიშნისთვის (ჩვენებისთვის, მითითებისთვის).
Element Name: Contributor	
Label: იარლიყი	Contributor თანაშემსრულებელი
Definition: განსაზღვრება	An entity responsible for making contributions to the content of the resource. ის არსი (რაობა), რომელიც პასუხისმგებელია და იღებს მონაწილეობას რესურსის შიგთავსის (შემცველობის, შინაარსის) შექმნაში.
Comment: კომენტარი	Examples of Contributor include a person, an organization, or a service. Typically, the name of a Contributor should be used to indicate the entity. თანაშემსრულებლის მაგალითებია პიროვნება, ორგანიზაცია, სამსახური. როგორც წესი, თანაშემსრულებლის სახელი გამოიყენება არსის (რაობის) აღნიშნისთვის (ჩვენებისთვის, მითითებისთვის).
ელემენტის სახელი: თარიღი Element Name: Date	
Label: იარლიყი	Date თარიღი
Definition: განსაზღვრება	A date of an event in the lifecycle of the resource. რესურსის სასიცოცხლო ციკლის რომელიმე ეტაპის (მოვლენის) თარიღი.
Comment: კომენტარი	Typically, Date will be associated with the creation or availability of the resource. Recommended best practice for encoding the date value is defined in a profile of ISO 8601 [W3CDTF] and includes (among others) dates of the form YYYY-MM-DD. როგორც წესი, თარიღი დაკავშირებულია რესურსის შექმნასთან ან გამოქვეყნებასთან. რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა თარიღის მნიშვნელობის კოდირებისთვის განსაზღვრულია ISO 8601 [W3CDTF]-ის მოკლე აღწერაში და, სხვა ფორმებთან ერთად,

	შეიცავს თარიღის შემდეგ ფორმას: YYYY-MM-DD.
ელემენტის სახელი: ტიპი Element Name: Type	
Label: იარლიყი	Resource Type რესურსის ტიპი
Definition: განსაზღვრება	The nature or genre of the content of the resource. რესურსის შემცველობის (შიგთავსის, შინაარსის) ბუნება ან ჟანრი.
Comment: კომენტარი	Type includes terms describing general categories, functions, genres, or aggregation levels for content. Recommended best practice is to select a value from a controlled vocabulary (for example, the DCMI Type Vocabulary [DCT1]). To describe the physical or digital manifestation of the resource, use the FORMAT element. ტიპი შეიცავს ტერმინებს, რომლებიც აღწერენ რესურსის შემცველობის ზოგად კატეგორიებს, ფუნქციებს, ჟანრებს ან მისი მაწილების აგრეგაციის (შეერთების) დონეებს. რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს ელემენტის მნიშვნელობის შერჩევაში კონტროლირებადი ლექსიკონიდან (მაგალითად, ტიპების DCMI ლექსიკონიდან [DCT1]). რესურსის ფიზიკური ან ციფრული განსახიერების აღსაწერად გამოიყენება ელემენტი FORMAT.
ელემენტის სახელი: ფორმატი Element Name: Format	
Label: იარლიყი	Format ფორმატი
Definition: განსაზღვრება	The physical or digital manifestation of the resource. რესურსის ფიზიკური ან ციფრული განსახიერება.
Comment: კომენტარი	Typically, Format may include the media-type or dimensions of the resource. Format may be used to identify the software, hardware, or other equipment needed to display or operate the resource. Examples of dimensions include size and duration. Recommended best practice is to select a value from a controlled vocabulary (for example, the list of Internet Media Types [MIME] defining computer media formats). როგორც წესი, ფორმატი შეიძლება შეიცავდეს რესურსის მატარებლის ტიპს ან განზომილებებს. ფორმატის გამოყენება

	<p>შეიძლება რესურსთან მუშაობისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ტექნიკის ან სხვა აღჭურვილობის დადგენისთვის. რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს ელემენტის მნიშვნელობის შერჩევაში კონტროლირებადი ლექსიკონიდან (მაგალითად, ინტერნეტის მედია ტიპების [MIME] ჩამონათვალში განსაზღვრულია კომპიუტერული მატარებლების ფორმატები.</p>
ელემენტის სახელი: იდენტიფიკატორი Element Name: Identifier	
<p>Label: იარლიყი</p>	<p>Resource Identifier რესურსის იდენტიფიკატორი</p>
<p>Definition: განსაზღვრება</p>	<p>An unambiguous reference to the resource within a given context. ცალსახა (არაბუნდოვანი) მითითება რესურსზე მოცემულ კონტექსტში.</p>
<p>Comment: კომენტარი</p>	<p>Recommended best practice is to identify the resource by means of a string or number conforming to a formal identification system. Formal identification systems include but are not limited to the Uniform Resource Identifier (URI) (including the Uniform Resource Locator (URL)), the Digital Object Identifier (DOI) and the International Standard Book Number (ISBN).</p> <p>რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს რესურსის იდენტიფიცირებაში სტრიქონით ან რიცხვით იდენტიფიცირების რომელიმე ფორმალური სისტემის მიხედვით. იდენტიფიცირების ფორმალური სისტემის მაგალითებია რესურსის უნიფიცირებული იდენტიფიკატორი - Uniform Resource Identifier (URI) (რესურსის უნიფიცირებული მსაზღვრელის - Uniform Resource Locator (URL) ჩათვლით), ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი - Digital Object Identifier (DOI) და წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი - International Standard Book Number (ISBN).</p>
ელემენტის სახელი: წყარო Element Name: Source	
<p>Label: იარლიყი</p>	<p>Source წყარო</p>

<p>Definition: განსაზღვრება</p>	<p>A Reference to a resource from which the present resource is derived.</p> <p>მიითითება (დამოწმება) იმ წყაროზე, საიდანაც მიღებულ იქნა მოცემული რესურსი.</p>
<p>Comment: კომენტარი</p>	<p>The present resource may be derived from the Source resource in whole or in part. Recommended best practice is to identify the referenced resource by means of a string or number conforming to a formal identification system.</p> <p>მოცემული რესურსი, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიძლება მიღებულ იქნეს წყარო რესურსიდან. რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს დამოწმებული რესურსის იდენტიფიცირებაში სტრიქონით ან რიცხვით იდენტიფიცირების რომელიმე ფორმალური სისტემის მიხედვით.</p>
<p>ელემენტის სახელი: ენა Element Name: Language</p>	
<p>Label: იარლიყი</p>	<p>Language ენა</p>
<p>Definition: განსაზღვრება</p>	<p>A language of the intellectual content of the resource.</p> <p>რესურსის ინტელექტუალური შემცველობის ენა.</p>
<p>Comment: კომენტარი</p>	<p>Recommended best practice is to use RFC 3066 [RFC3066] which, in conjunction with ISO639 [ISO639]), defines two- and three-letter primary language tags with optional subtags. Examples include "en" or "eng" for English, "akk" for Akkadian", and "en-GB" for English used in the United Kingdom.</p> <p>რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს ენის ორ ან სამ ასოიანი კოდის აღება RFC 3066 [RFC3066]-დან ISO639 [ISO639]) სტანდარტის გათვალისწინებით. მაგალითები "en" ან "eng" ინგლისურისთვის, "akk" - აკადიურისთვის, "en-GB" გაერთიანებული სამეფოს ინგლისურისთვის.</p>
<p>ელემენტის სახელი: მიმართება Element Name: Relation</p>	
<p>Label: იარლიყი</p>	<p>Relation მიმართება</p>

Definition: განსაზღვრება	A reference to a related resource. მითითება დაკავშირებულ (მონათესავე ან მსგავს) რესურსზე.
Comment: კომენტარი	Recommended best practice is to identify the referenced resource by means of a string or number conforming to a formal identification system. რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს მითითებული რესურსის იდენტიფიცირებაში სტრიქონით ან რიცხვით იდენტიფიცირების რომელიმე ფორმალური სისტემის მიხედვით.
ელემენტის სახელი: საზღვრები Element Name: Coverage	
Label: იარლიყი	Coverage საზღვრები
Definition: განსაზღვრება	The extent or scope of the content of the resource. რესურსის შინაარსის (შემცველობის, შიგთავსის) საზღვრები, განფენილობა, სივრცე, მოცულობა ან მოქმედების არე.
Comment: კომენტარი	Typically, Coverage will include spatial location (a place name or geographic coordinates), temporal period (a period label, date, or date range) or jurisdiction (such as a named administrative entity). Recommended best practice is to select a value from a controlled vocabulary (for example, the Thesaurus of Geographic Names [TGN]) and to use, where appropriate, named places or time periods in preference to numeric identifiers such as sets of coordinates or date ranges. როგორც წესი, საზღვრები (მოქმედების არე) შეიცავს სივრცით ადგილმდებარეობას (ადგილის დასახელებას ან გეოგრაფიულ კოორდინატებს), დროის პერიოდს (პერიოდის დასახელებას, თარიღს, ან თარიღების რიგს), ან იურისდიქციას (როგორცაა ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება). რეკომენდებული საუკეთესო პრაქტიკა მდგომარეობს ელემენტის მნიშვნელობის შერჩევაში კონტროლირებადი ლექსიკონიდან (მაგალითად, გეოგრაფიული სახელების თეზაურუსიდან) და, იქ სადაც შესაძლებელია, უპირატესობა ენიჭება ადგილის ან დროის პერიოდის დასახელებას, ვიდრე კოორდინატთა სისტემის ან თარიღების რიგის გამოყენებას.
Element Name: Rights ელემენტის სახელი: უფლებები	

Label: იარლიყი	Rights Management უფლებების მართვა
Definition: განსაზღვრება	Information about rights held in and over the resource. ინფორმაცია რესურსის მიმართ უფლებების შესახებ, რომელიც მოთავსებულია რესურსის შიგნით ან გარეთ.
Comment: კომენტარი	Typically, Rights will contain a rights management statement for the resource, or reference a service providing such information. Rights information often encompasses Intellectual Property Rights (IPR), Copyright, and various Property Rights. If the Rights element is absent, no assumptions may be made about any rights held in or over the resource. ელემენტი „უფლებები“ უნდა შეიცავდეს რესურსის მართვის უფლებათა წინადადებას ან მითითებას იმ სამსახურზე, რომელიც იძლევა ამ ინფორმაციას. ინფორმაცია უფლებების შესახებ ხშირად მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, საავტორო უფლებებს და სხვადასხვა უფლებებს საკუთრების შესახებ. თუ უფლებების ელემენტი არ არსებობს, შეუძლებელია რაიმე დაშვების გაკეთება რესურსის მიმართ უფლებების შესახებ.

References

[DCT1]

DCMI Type Vocabulary. DCMI Recommendation, 11 July 2000.
<http://dublincore.org/documents/dcmi-type-vocabulary/>

[ISO639]

ISO 639-2 - Codes for the representation of names of languages. Alpha-3 code (ISO 639-2:1998)
<http://www.loc.gov/standards/iso639-2/langhome.html>

[ISO3166]

ISO 3166 - Codes for the representation of names of countries.
<http://www.iso.org/iso/en/prods-services/iso3166ma/02iso-3166-code-lists/list-en1.html>

[MIME]

Internet Media Types.
<http://www.iana.org/assignments/media-types/>

[RFC3066]

Tags for the Identification of Languages, Internet RFC 3066.
<http://www.ietf.org/rfc/rfc3066.txt>

[RFC2396]

Uniform Resource Identifiers (URI): Generic Syntax, Internet RFC 2396.
<http://www.ietf.org/rfc/rfc2396.txt>

[RFC2413]

Dublin Core Metadata for Resource Discovery. Internet RFC 2413.
<http://www.ietf.org/rfc/rfc2413.txt>

[TGN]

Getty Thesaurus of Geographic Names.
<http://www.getty.edu/research/tools/vocabulary/tgn/index.html>

[W3CDTF]

Date and Time Formats, W3C Note.
<http://www.w3.org/TR/NOTE-datetime>

<http://www.cdlib.org/inside/diglib/glossary/?field=glossary&action=search&query=oac>